საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/3497
15/11/2019

3497-გ-19-03-2-201911151536

შპს „იუნისონგ უორლდ ტვ“-ს

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 14 ნოემბერს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 2019 წლის 21 ნოემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომაზე განიხილება შპს „იუნისონგ უორლდ ტვ“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის დარღვევის გამო. (საფუძველი: კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფის სამსახურებრივი ბარათი (N 19-10-2095, 29/10/2019).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 11 ნოემბერი. ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „იუნისონგ უორლდ ტვ“-ს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფის სამსახურებრივი ბარათი (N 19-10-2095, 29/10/2019) თანდართული დოკუმენტაციით - 72 ფურც.;
2. კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებივი ბარათი (N 19-10-1998, 10/10/2019) -1 ფურც;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (B19068363, 20/06/2019) -2 ფურც;
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (B19103063, 27/09/2019) -2 ფურც.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge